საკრებულოს წევრის,
იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის
თეა ჯუღელის ანგარიში
2022 წლის ოქტომბრიდან 2023 წლის ოქტომბრამდე გაწეული მუშაობის შესახებ

,,საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 88-ე მუხლის შესაბამისად - მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ვალდებულია, წელიწადში ერთხელ მაინც, მოაწყოს საჯარო შეხვედრა მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებთან და წარუდგინოს მათ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის განხილვისას უპასუხოს მუნიციპალიტეტის ამომრჩეველთა მიერ დასმულ შეკითხვებს.

ღია მმართველობის პრინციპიდან გამომდინარე, ამომრჩევლის წინაშე ანგარიშვალდებულების და საჯაროობის დაცვის გამოხატულებაა ჩემი, როგორც საკრებულოს წევრის და ამავდროულად საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, ყოველწლიური ანგარიშის ჩაბარება გაწეული საქმიანობის შესახებ.

კანონით ნაკისრი ეს ვალდებულება, საშუალებას გვაძლევს ამომრჩევლებს მიეწოდოს სრულყოფილი ინფორმაცია საკრებულოს საქმიანობის შესახებ. საზოგადოების მხრიდან გამოხატული ნდობა გვაკისრებს პასუხისმგებლობას საქმისა და თითოეული ამომრჩევლის წინაშე.

საკრებულოში საკითხების წინასწარი მომზადების, გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობის, მერიის, მისი სტრუქტურული ერთეულებისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების კონტროლის მიზნით, შექმნილია ხუთი კომისია. მათგან ერთ-ერთი, იურიდიულ საკითხთა კომისია საქმიანობას წარმართავს კომისიის სამუშაო გეგმის შესაბამისად. მოწვევის პერიოდში, რეგლამენტითა და სხვა შესაბამისი კანონმდებლობით განსაზღვრული პროცედურების დაცვით მე, როგორც საკრებულოს წევრმა და ამასთანავე კომისიის თავმჯდომარემ მონაწილეობა მივიღე საკრებულოს, საკრებულოს ბიუროს, ფრაქციისა და საკრებულოს კომისიების სხდომებში.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისია თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის დებულებისა და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად.

კომისია თავისი კომპეტენციის ფარგლებში შეიმუშავებს და საკრებულოს წარუდგენს სამართლებრივი აქტების პროექტებს, სხვა სამართლებრივი აქტების პროექტებთან დაკავშირებით, მოსაზრებებსა და დასკვნებს. კომისია საზედამხედველო უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებს მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირების, სამსახურებისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისა და შეზღუდული პასუხისმგებლოების საზოგადოებების ანგარიშების მოსმენას, აფასებს წარმოდგენილ ანგარიშებს და შენიშვნების/რეკომენდაციების არსებობის შემთხვევაში წერილობით აცნობებს მუნიციპალიტეტის მერს, კითხვით მიმართავს მუნიციპალიტეტის მერს და თანამდებობის პირებს, გამოითხოვს წერილობით დოკუმენტაციას, ანგარიშებსა და პასუხებს.

2022 წლის ოქტომბრიდან 2023 წლის ოქტომბრამდე მონაწილეობა მივიღე :

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის 23 სხდომაში , სადაც განხილულ იქნა 61 საკითხი, მიღებულია შესაბამისი გადაწყვეტილებები და შემუშავებულია დასკვნები, რეკომენდაციები.
2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის 11 სხდომაში , სადაც განხილულ იქნა 11 საკითხი, შემუშავებულია დასკვნები.

საანგარიშო პერიოდში ჩატარებული ყველა სხდომა, რომელშიც ვიღებდი მონაწილეობას იყო საჯარო და თითქმის ყველა მათგანზე მოწვეული იყო აღმასრულებელი ორგანოს შესაბამისი წარმომადგენლები.

საერთაშორისო, ცენტრალური და ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების რეკომენდაციების გათვალისწინებით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ინიციატივით, მონაწილეობა მივიღე „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტის შემუშავებასა და განხილვაში, რომლის ძირითადი მიზანიცაა საკრებულოს წევრისათვის ქცევის მაღალი ეთიკური სტანდარტების განსაზღვრა, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიმართ საზოგადოების ნდობის ამაღლება, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ თავისი მოვალეობების ღირსეულად, მიუკერძოებლად და კეთილსინდისიერად შესრულება, საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულების ამაღლება, საკრებულოს წევრის რეპუტაციის, პატივისა და ღირსების დაცვა.

უფლებამოსილების ფარგლებში აქტიურად ვიყავი ჩართული ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ფორმირების პროცესში. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით ჩემს მიერ შემუშავებულ იქნა რეკომენდაციები:

1. დადგენილების პროექტის დანართებში ცალკე კოდით გენდერული მიმართულებით გასატარებელ ღონისძიებათა პროგრამული დაფინანსების საკითხის ასახვის შესახებ (საქართველოს კანონის „გენდერული თანასწორობის შესახებ“ მე-13 მუხლი);

2. ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების, ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნის, ინოვაციური განვითარების მხარდაჭერის პროგრამული დაფინანსების საკითხების გამოკვეთის შესახებ (საქართველოს კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე -16 მუხლის მე-4 პუნქტი);

3. საქართველოს კანონით „ბავშვის უფლებათა კოდექსი“ მუნიციპალიტეტის ორგანოებისათვის მინიჭებული უფლებამოსილებით განსაზღვრული მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, შესაბამისი პროგრამული დაფინანსებით, ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის ღონისძიებათა წრის გაზრდის შესახებ (საქართველოს კანონის „ბავშვის უფლებათა კოდექსის “ 96-ე მუხლი);

4. მუნიციპალიტეტების დონეზე ახალგაზრდების იდეებისა და ინიციატივების მხარდაჭერისა და თანადაფინანსებისათვის სისტემური სახის მიცემის თაობაზე. აღნიშნული მიზნით, ახალგაზრდული ორგანიზაციებისა და საინიციატივო ჯგუფების სახელმწიფო მხარდაჭერაზე ხელმისაწვდომობის გაზრდისათვის მუნიციპალურ დონეზე საგრანტო ან/და სხვა პროგრამების გაზრდის შესახებ (საქართველოს პარლამენტის დადგენილება „2020–2030 წლებისთვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფციის“ დამტკიცების შესახებ).

საანგარიშო პერიოდში მოწვეულ იქნა იურიდიულ საკითხთა კომისიაზე ანგარიშის წარმოსადგენად :

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანების ანგარიში არსებული და მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ;

2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობის ანგარიში;

3. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული განყოფილების საქმიანობის ანგარიში;

4. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის საქმიანობის ანგარიში;

5. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის

ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების და ტრანსპორტის განყოფილების საქმიანობის ანგარიში;

6. ა(ა)იპ „იმერეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციის“ საქმიანობის ანგარიში.

წარმოდგენილი საკითხების შესაბამისად კომისიის მიერ ზემოაღნიშნული საკითხების ფარგლებში შემუშავებული იქნა შემდეგი რეკომენდაციები:

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიამ უნდა შეიმუშავოს ინსტრუქცია/მეთოდოლოგია, როგორ მოხდება აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების კონტროლი;

2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის შიდა აუდიტის სამსახურის ანგარიშვალდებულება უნდა გაიზარდოს საკრებულოს წინაშე, დეპუტატის მიერ გაგზავნილი სადეპუტატო კითხვის ფარგლებში აუდიტმა ამომწურავი პასუხი და შესაბამისი დასკვნა უნდა მიაწოდოს შეკითხვების ავტორს აუდიტორული შემოწმების შედეგების შესახებ. საკრებულოს მხრიდან მოთხოვნის შემთხვევაში აუდიტორული დასკვნები უნდა გახდეს ხელმისაწვდომი და საჯარო;

3. თავის მხრივ, მეტი გამჭვირვალობისათვის მნიშვნელოვანია, შიდა აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელი საკრებულოს მიერ იქნას არჩეული, ვინაიდან მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელები იკავებენ პროფესიული ნიშნით განსაზღვრულ თანამდებობებს, რომელიც მნიშვნელოვანია ითვალისწინებდეს პირის დაკავებულ თანამდებობასთან პროფესიულ თავსებადობას, მისი გამოცდილებისა და უნარ-ჩვევების შეფასების შესაძლებლობით. მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობის შიდა აუდიტის განმახორციელებელი სუბიექტის ხელმძღვანელი უნდა დაექვემდებაროს თანამდებობაზე დანიშვნის არჩევითი პრინციპის სტრუქტურას;

4. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის მეორადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული განყოფილების მიერ საკითხზე მომზადებული დასკვნა და მერიის შესაბამისი სამსახურის მიერ საკითხზე მიღებული გადაწყვეტილება უნდა იყოს შესაბამისობაში, ურთიერთწინააღმდეგობაში არ უნდა მოდიოდეს ერთმანეთთან;

5. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურისა თუ კომისიის მიერ, მათ შორის აღიარების კომისიის მიერ პრაქტიკაში უნდა იქნას გამოყენებული სასამართლო პრეცედენტები და უზენაესი სასამართლოს პრაქტიკები, რომელიც კონტინენტური ევროპის სამართლებრივი ოჯახის ქვეყნებშიც შესასრულებლად სავალდებულოდ ითვლება. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია წარმოებული დავების მოკვლევა და ერთი და იმავე საკითხზე დავების დიდი ოდენობით არსებობის შემთხვევაში, უნდა მოიძებნოს გამოსავალი მოქალაქეთა პრობლემების მარტივად გადასაჭრელად, მათ შორის ასეთი გამოსავალი შეიძლება იყოს სასამართლო პრაქტიკების მოხმობა და მათით ხელმძღვანელობა გადაწყვეტილების მიღების დროს;

6. ყველა რგოლის თანამშრომლები უნდა გადიოდნენ მუდმივად კვალიფიკაციის ამაღლების კურსებს, უწყვეტი განათლების პრინციპის შესაბამისად ეს აუცილებელია ცოდნის განახლებისათვის, გამოცდილებისა და პრობლემების გაზიარებისათვის. სასურველია მოძიებულ იქნას შესაბამისი პროექტები, რომლებიც აფინანსებენ მსგავს აქტივობებს;

7. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვის და სამშენებლო ნებართვების სამსახურში შემოსული საპროექტო განაცხადის ირგვლივ სამსახურის მიერ გაცემული შენიშვნები, მითითებები, ხარვეზები სასურველია იქნას ერთიანად შემუშავებული და მიწოდებული განმცხადებლისათვის. განმცხადებელს ხარვეზების გამოსასწორებლად უნდა განესაზღვროს კონკრეტული ვადა, რომელიც დასაბუთებული და წინასწარ განსაზღვრული საფუძვლების არსებობის შემთხვევაში შეიძლება გადაგრძელდეს

არაუმეტეს კონკრეტული ვადით. განმცხადებლის მიერ დაზუსტებული განცხადების სამსახურში წარმოდგენის შემდეგ, სამსახურმა კონკრეტულ ვადაში უნდა მიიღოს დასაბუთებული პასუხი დაკმაყოფილების შესახებ, შესაძლებელია სამსახურს განსაზღვრული ჰქონდეს მაგალითად 10 დღიანი ვადა, თუმცა თუკი სამსახურის პასუხი 10 დღემდე ვადაში იქნება მომზადებული, ვადის ამოწურვამდე მიაწოდოს იგი განმცხადებელს მოქალაქეზე მორგებული ეფექტიანი და ეფექტური სერვისის შეთავაზების მიზნით. საპროექტო განაცხადის მიღების, ხარვეზის დადგენის, გამოსწორებისა და საბოლოო გადაწყვეტილების მიღების პროცესი უნდა იყოს დროული, რათა დროში გახანგრძლივებული პროცესების გამო განმცხადებელმა ინტერესი არ დაკარგოს, როგორც თავისი საკითხის, ასევე, არ დაკარგოს ნდობა ინსტიტუციის მიმართ. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია სამსახურს ჰყავდეს გადამზადებული კვალიფიციური კადრი (კონსულტანტი), რომელიც დაინტერესებულ პირს/განმცხადებელს მიაწვდის სრულყოფილ ინფორმაციას წარსადგენი დოკუმენტაციების, ადმინისტრაციული წარმოების შესახებ;

8. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიამ მუნიციპალური ტრანსპორტის მართვის სისტემის გაუმჯობესებისა და მოსახლეობისთვის მაღალი ხარისხის მომსახურების მიწოდების მიზნით, უნდა გამოიყენოს მიმწოდებელთან გაფორმებული ხელშეკრულებით მინიჭებული უფლებამოსილებები, მუდმივი მონიტორინგი აწარმოოს იმის შესახებ თუ რამდენად ასრულებს ხელშეკრულების მეორე მხარე ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს, ხოლო დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში იმოქმედოს ხელშეკრულების მიხედვით და მოახდინოს სათანადო რეაგირება. მაგალითად, გაკონტროლდეს სამგზავრო ბარათების მარაგების არსებობა სათანადო ობიექტებსა და სივრცეებში, საჭიროებისამებრ გაიზარდოს იმ ობიექტთა ოდენობა, სადაც სამგზავრო ბარათების შეძენა იქნება შესაძლებელი; შეამოწმოს რამდენად მოწესრიგებულია ბარათზე სამგზავრო თანხის ჩასარიცხი აპარატი შესაბამისი მიზნისათვის გამოსაყენებლად და ა.შ. მგზავრთა ნაწილს არ აქვს ინფორმაცია სამგზავრო ბარათის შეძენისა და მასზე თანხის ჩარიცხვის პროცედურის

შესახებ, ხელშეკრულების მხარეებმა (მუნიციპალიტეტის მერიამ ან/და დაკონტრაქტებულმა იურიდიულმა პირმა) აღნიშნულ პროცედურას რეკლამირება უნდა გაუკეთონ, რათა მგზავრი სრულად ინფორმირებული იყოს;

9. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიამ უზრუნველყოს ქალაქ ქუთაისსა და ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტს შორის მგზავრთა გადაყვანის მიზნით რეგულარული ტრანსპორტის დანიშვნა;

10. ქალაქ ქუთაისში მდებარე ე.წ. „ებრაელების სასაფლაოს“ ტერიტორიის მოწესრიგება;

11. უნდა მოწესრიგდეს ქალაქ ქუთაისსა და ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტს შორის არსებული ტერიტორიის - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის, სოფელ ქვიტირის გზაზე გაუნათებელი და მოუწესრიგებელი საგზაო ინფრასტრუქტურა, უნდა მოხდეს ავტო ნაწილებისა და დაშლილების ბაზრობის სხვა ტერიტორიაზე გადატანა, საგზაო მონაკვეთი საჭიროებს ბორდიულებისა და გვერდულების მოწესრიგებას;

12. რეაბილიტაცია უნდა ჩაუტარდეს ზაქარია ფალიაშვილის მემორიალურ სახლ-მუზეუმს, რადგანაც იგი წარმოადგენს მნიშვნელოვან პროექტს ქალაქის კულტურული ცხოვრებისათვის, ასევე აღსანიშნავია, რომ აღნიშნული მუზეუმი მდებარეობს ქალაქის ცენტრალურ, ისტორიულ უბანში, სადაც უამრავი ადგილობრივი თუ ტურისტი გადაადგილდება;

13. ქალაქ ქუთაისში, დღემდე არსებობს ბევრი ისტორიული არტეფაქტი, ისტორიული მნიშვნელობის ძეგლი, რომელიც არ არის იდენტიფიცირებული და სრულად შესწავლილი. ერთ-ერთ ასეთ ლოკაციას წარმოადგენს ჭომის უბანში, კონკრეტულად რუას ქუჩაზე არსებული ისტორიული აბაზანების ნაშთები და მე-19 საუკუნის ხიდი, რომელიც დაშენებულია უფრო ძველი ხიდის ბაზაზე. აღნიშნული ლოკაციის მოწყობა იქნება სრულიად ახალი ტურისტული სანახაობა ქალაქის უძველეს უბანში, რომელიც ხელს შეუწყობს ადგილობრივი მაცხოვრებლებისათვის ახალი ბიზნესის განვითარებასა და სტიმულირებას, ასევე, შესაძლებელია მოეწყოს

მცირე ტიპის კომერციული ობიექტები, რაც დამატებითი ეკონომიკური შემოსავლების წყარო შეიძლება გახდეს ადგილობრივი ბიზნესისათვის. დღეის მდგომარეობით, რუას ხეობას არ გააჩნია არანაირი ტურისტული დანიშნულება და ამ ფაქტის შესახებ უცნობია ადგილობრივი მაცხოვრებლებისთვისაც კი;

14. უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე ქუთაისი გახდა ერთ-ერთი ტურისტულად მიმზიდველი ქალაქი, რასაც ხელს უწყობს ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტის განვითარება. მგზავრთა ნაკადის ზრდასთან ერთად აუცლებელი გახდა ქალაქმა ხელი შეუწყოს და დააკმაყოფილოს სხვადასხვა ტიპის ინფრასტრუქტურული მოთხოვნა თუ საჭიროება, როგორიცაა მაგალითად, მოწესრიგებული და თანამედროვე საპირფარეშოების არსებობა ქალაქის ტერიტორიაზე. აღნიშნული ტიპის საპირფარეშოები გარდა ვიზუალური ნაწილისა, ასევე მარტივია საოპერაციო და მოვლა-პატრონობის მიმართულებითაც, რადგანაც გააჩნია, როგორც თვითწმენდის რეჟიმი, ასევე დამზადების მასალიდან გამომდინარე შესაძლებელია მისი გარეცხვა ე.წ. დაკერხერების მეთოდითაც. აღნიშნული ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელება გაზრდის ტურისტებისა და ადგილობრივების კომფორტულობის დონეს ქალაქში;

15. რამოდენიმე ქვეყანაში ფეხს იკიდებს „საქალაქთაშორისო პორტალი“, რომელიც საშუალებას იძლევა live რეჟიმში უყურო სხვა ქალაქის ქუჩებს და გამვლელებს, მიესალმო და გაესაუბრო ადამიანებს მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში. ინიციატივის ფარგლებში იგეგმება ქუთაისის ტურისტულ ლოკაციებსა და ძირითად ღირსშესანიშნაობებთან განთავსდეს მსგავსი ტიპის მონიტორები და კამერები, ასევე დამეგობრებულ, პარტნიორ და ტურისტულად საინტერესო ქალაქებთან მოლაპარაკებების შედეგად განთავსდეს ანალოგიური ეკრანები და მოხდეს ვიდეო მიმოცვლა. აღნიშული პროექტი გაზრდის ქალაქის პოპულარობას და შექმნის „ემოციურ დამოკიდებულებას“ ქუთაისის მიმართ, რამეთუ მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში (პორტალის განთავსების შესაბამისად) უცხოელებს ექნებათ

შესაძლებლობა გაეცნონ ქალაქის ყოველდღიუობას, რაც გაზრდის ინტერესს ქუთაისის მონახულებასთან დაკავშირებით;

16. მოსწავლე - ახალგაზრდობის პარკი წარმოადგენს ქალაქის ყველაზე დიდ სკვერს, რომლის საერთო ფართი 8 ჰექტარს აღემატება და მდებარეობს ერთ-ერთი ცენტრალური გამზირის (ჭავჭავაძის გამზირის) მიმდებარედ. დღეის მდგომარეობით პარკი წარმოადგენს ქალაქის სარეკრეაციო სივრცის უმნიშვნელოვანეს ნაწილს, რადგანაც აღნიშნულ ლოკაციაზე მოქალაქეთა დიდი ნაწილი იკრიბება. პარკი ძირითადად იზიდავს ჯანსაღი ცხოვრების მოყვარულ, სკეიტბორდის მოყვარულ და ბუნებაში სეირნობის მოყვარულებს. პარკში ხშირად იმართებოდა სხვადასხვა ტიპის კონცერტი, რამეთუ მოწყობილი იყო ამფითეატრი, ასევე მსოფლიო დონის სხვადასხვა სპორტული ღონისძიების ღია ტიპის ჩვენებები. აღნიშნული სკვერის რეაბილიტაცია უზრუნველყოფს საზოგადოებისათვის განახლებული და კომფორტული გარემოს შექმნას. პარკის სივრცე და არეალი იძლევა საშუალებას მოეწყოს, როგორც ღია ტიპის ამფითეატრი, სკეიტ და ველო პარკი, ჯანსაღი ცხოვრების მოყვარულთათვის სარბენი ტრეკი, ღია ტიპის კომერციული ობიექტები, სხვადასხვა ტიპის ატრაქციონი და განტვირთვისათვის საჭირო სხვა ტიპის ატრაქციები. მოსწავლე ახალგაზრდობის პარკის რეაბილიტაცია წარმოადგენს მნიშვნელოვან პროექტს ქუთაისის მაცხოვრებლებისათვის, რომელიც მიზნად ისახავს ჯანსაღი ცხოვრების ხელშეწყობას;

17. ქუთაისის ისტორიული წითელი ხიდი და მის ახლოს მდებარე მაგნოლიას ხე წარმოადგენს ქალაქის ერთ-ერთ სიმბოლოს და სავიზიტო ბარათს. აყვავებული მაგნოლიის ფოტოები ყოველ გაზაფხულზე აქტიურად ვრცელდება სოციალურ ქსელებში. ერთობლიობაში წითელი ხიდი თავისი ისტორიული მნიშვნელობით და მაგნოლია, ჰქმნის საინტერესო ტურისტულ ლოკაციას. წითელ ხიდზე ტრანსპორტის მოძრაობა არ არის, თუმცა ფეხით მოსიარულეთათვის ხიდის სავალი ნაწილი საკმაოდ ცუდ მდგომარეობაშია. აქედან გამომდინარე, აუცილებელია წითელი ხიდის რეაბილიტაცია/მოპირკეთება. პროექტის განხორციელებისთვის აუცილებელია ხიდის სავალი ნაწილის მოპირკეთება/რეაბილიტაცია, მოაჯირების დამუშავება და შეღებვა,

ასევე უხარისხო განათების შეცვლა. სასურველია თუ ხიდი შეიძენს მხოლოდ საფეხმავლო დანიშნულებას.

როგორც იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, აქტიურად ვარ ჩართული USAID-ის „ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამის“ განხორციელებაში, მიწვეული ვიყავი და დავესწარი 11 ივლისს ქალაქ თბილისში საკრებულოების საზედამხედველო შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით დაგეგმილი პროექტის ინაუგურაციას, სადაც ვისაუბრეთ საკრებულოსა და კომისიების წინაშე არსებულ გამოწვევებსა და სამომავლო თანამშრომლობაზე, გავეცანი „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ მიერ მომზადებულ კვლევას საზედამხედველო ფუნქციებისა და მოქალაქეთა ჩართულობის არსებული ინსტრუმენტების გამოყენებასთან დაკავშირებით. ასევე, მონაწილეობა მივიღე პროგრამის ფარგლებში ორგანიზაცია “ეგერია სოლუშენსი”-ს მიერ წარმოებულ კვლევაში „ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საზედამხედველო საქმიანობის შესახებ“. ჩართული ვარ პროექტში „საჯარო ფინანსების მართვის (PFM) შეფასება სახელმწიფო ხარჯებისა და ფინანსური ანგარიშვალდებულების (PEFA) შეფასების მეთოდოლოგიის საფუძველზე, რომელსაც ახორციელებს საკონსულტაციო კომპანია „პოლიტიკის და მართვის კონსალტინგ ჯგუფი“ (PMCG). კომისიის ჩართულობა მნიშვნელოვანია და შესაბამისად მე, როგორც კომისიის თავმჯდომარე აქტიური მონაწილეობის მზადყოფნას გამოვთქვამ „ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამის“ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ არაერთ პროექტსა თუ ღონისძიებაში.

იურიდიულ საკითხთა კომისია მომავალშიც აქტიურად განაგრძობს საქმიანობას სამართლებრივი მიმართულებით, რაც მაქსიმალურად უზრუნველყოფს საკრებულოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში სამართლებრივი ხასიათის ხარვეზების გამორიცხვას და მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მიღებული აქტების მაღალკვალიფიციურ დონეზე გამოცემას.

მე, როგორც საკრებულოს წევრი, ასევე, ჩართული ვარ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის საქმიანობაში, რომელმაც საანგარიშო პერიოდში გამართა 11 სხდომა და განიხილა 11 საკითხი.

ჩემი, როგორც საკრებულოს წევრის და ამასთანავე იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის საქმინობის ძირითადი პრიორიტეტებია: თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა აქტიური ჩართვის უზრუნველყოფა. საზოგადოებისათვის ძირითადი პრობლემატური, აქტუალური, სამართლებრივი საკითხების შესწავლისას, წინადადებებისა და პროექტების შემუშავება და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემდგომი რეაგირებისათვის საკითხის დაყენება.

სწორედ ამ პრიორიტეტების გათვალისწინებით, საკრებულოს წევრის საზედამხედველო ინსტრუმენტების ფარგლებში, არაერთხელ მივმართე აღმასრულებელ ორგანოს წერილობითი შეკითხვით. წერილობითი შეკითხვები მიმართული იყო რამდენიმე სამსახურის მიმართ და ეხებოდა:

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული ადმინისტრაციული სამსახური იურიდიული განყოფილება:

- რა ტიპის სარჩელებია ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიისა და მისი მონაწილეობით დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების წინააღმდეგ?
- როგორია სამართალწარმოების ვადები, არის თუ არა დავები რომელთა განხილვა ერთ წელზე მეტი პერიოდია მიმდინარეობს?
- როგორია მერიის მოგებული და წაგებული დავების სტატისტიკა?
- რამდენად შეეხო მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულება?

2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახური:

- როდის და რა ტიპის კვლევები განხორციელდა სვლა-გეზების დასაგეგმად, არსებული საჭიროებების გადასამოწმებლად?
- ტარდება თუ არა რაიმე ტიპის საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვები მოსახლეობაში ტრანსპორტთან დაკავშირებული პრობლემების გამოსავლენად?

3. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული კულტურის სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური:

- რა ეტაპზეა კოლია ქვარიანის გადმოსვენების საკითხი რომელიც 2006 წლიდან წარმოებაშია, არსებობს თუ არა რაიმე ხელისშემშლელი ფაქტორები? როგორია უახლოესი მომავლის გეგმები ამ საკითხთან დაკავშირებით ?

4. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული სოციალურ საკითხთა სამსახური:

- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოციალური საცხოვრისით უზრუნველყოფის მდგომარეობა როგორია - რამდენია მოთხოვნა და რამდენია დაკმაყოფილებული?
- რა კონკრეტული პროექტები ხორციელდება ახალი სოციალური საცხოვრისების შექმნისათვის ?

5. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული შიდა აუდიტის სამსახური:

- რა მექანიზმებით და რა პერიოდულობით ხორციელდება, მუნიციპალიტეტის მიერ შესყიდული მომსახურეობებისა და პროდუქტების ხარისხის, მონიტორინგი?

6. რა მდგომარეობაა მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში, ბავშვის უფლებათა კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნების იმპლემენტაციის კუთხით ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ?

7. როგორ ხდება „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ კანონის 35-ე მუხლით დადგენილი მოთხოვნების აღსრულება ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე?

გარდა ამისა, როგორც საკრებულოს წევრმა, საინიციატივო წინადადებით მივმართე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საქართველოს კანონით „თავისუფლების ქარტიით“ აკრძალული - კომუნისტური, ტოტალიტარული და ფაშისტური სიმბოლიკის, საკულტო ნაგებობების, ძეგლების, მონუმენტების, ბარელიეფების, წარწერების, ქუჩების, მოედნების სახელწოდებების ჯერ კიდევ არსებობის, მათი აღრიცხვა/მონიტორინგის შესახებ. ვინაიდან, ზემოთაღნიშნული პრობლემის აღმოსაფხვრელად საკმაოდ მოცულობითი და კომპლექსური საქმიანობის განხორციელებაა საჭირო, ინიციატივის არსი მდგომარეობს - შეიქმნას შესაბამისი მუნიციპალური კომისია, საბჭო ან სხვა სახის სათათბირო/საკონსულტაციო ჯგუფი, რომელიც დასახავს ღონისძიებებს კანონის მოთხოვნათა შესასრულებლად.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, თეა ჯუღელი

იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის,

იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის,

თეა ჯუღელის

ამომრჩევლებთან საანგარიშო შეხვედრის

ო ქ მ ი N 2

27 ოქტომბერი, 2023 წელი

სხდომის ჩატარების ადგილი:

ქ. ქუთაისი, ქუთაისის ილია ჭავჭავაძის

სახელობის საჯარო ბიბლიოთეკა

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებთან საანგარიშო შეხვედრას უძღვებოდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ქალბატონი თეა ჯუღელი.

შეხვედრას ესწრებოდნენ:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ირაკლი შენგელია; ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, გია ბასილაძე; ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, პაატა ლილუაშვილი; ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბაქარ მახარაძე; ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ჯემალ ბიბილეიშვილი; ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, მაია სიმონიძე; ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ამომრჩევლები.

შეხვედრა გახსნა და ამომრჩევლების წინაშე 2022 წლის ოქტომბრიდან 2023 წლის ოქტომბრამდე გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში წარადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა, იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა თეა ჯუღელმა:

„კანონის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ვალდებულია, წელიწადში ერთხელ მაინც, მოაწყოს საჯარო შეხვედრა მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებთან და წარუდგინოს მათ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის განხილვისას უპასუხოს მუნიციპალიტეტის ამომრჩეველთა მიერ დასმულ შეკითხვებს.

ამომრჩევლის წინაშე ანგარიშვალდებულების და საჯაროობის პრინციპის დაცვის გამოხატულებაა ჩემი, როგორც საკრებულოს წევრის და ამავდროულად საკრებულოს

იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, ყოველწლიური ანგარიშის ჩაბარება გაწეული საქმიანობის შესახებ.

კანონით ნაკისრი ეს ვალდებულება, საშუალებას გვაძლევს ამომრჩევლებს მოგაწოდოთ სრულყოფილი ინფორმაცია საკრებულოს საქმიანობის შესახებ. საზოგადოების მხრიდან გამოხატული ნდობა გვაკისრებს პასუხისმგებლობას საქმისა და თითოეული თქვენგანის წინაშე.

საკრებულოში საკითხების წინასწარი მომზადების, გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობის, მერიის, მისი სტრუქტურული ერთეულებისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების კონტროლის მიზნით, შექმნილია ხუთი კომისია. მათგან ერთ-ერთი, იურიდიულ საკითხთა კომისია საქმიანობას წარმართავს კომისიის სამუშაო გეგმის შესაბამისად. მოწვევის პერიოდში, რეგლამენტითა და სხვა შესაბამისი კანონმდებლობით განსაზღვრული პროცედურების დაცვით მე, როგორც საკრებულოს წევრმა და ამასთანავე კომისიის თავმჯდომარემ მონაწილეობა მივიღე საკრებულოს, საკრებულოს ბიუროს, ფრაქციისა და საკრებულოს კომისიების სხდომებში.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისია თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის დებულებისა და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად.

კომისია თავისი კომპეტენციის ფარგლებში შეიმუშავებს და საკრებულოს წარუდგენს სამართლებრივი აქტების პროექტებს, სხვა სამართლებრივი აქტების პროექტებთან დაკავშირებით, მოსაზრებებსა და დასკვნებს. კომისია საზედამხედველო უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებს მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირების, სამსახურებისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისა და შეზღუდული პასუხისმგებლოების საზოგადოებების ანგარიშების მოსმენას, აფასებს წარმოდგენილ ანგარიშებს და შენიშვნების/რეკომენდაციების არსებობის შემთხვევაში წერილობით აცნობებს მუნიციპალიტეტის მერს, კითხვით მიმართავს მუნიციპალიტეტის მერს და თანამდებობის პირებს, გამოითხოვს წერილობით დოკუმენტაციას, ანგარიშებსა და პასუხებს.

კომისია შედგება 11 (თერთმეტი) წევრისაგან.

2022 წლის ოქტომბრიდან 2023 წლის ოქტომბრამდე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიას ჩატარებული აქვს 23 სხდომა, განხილულია სულ 61 საკითხი, რომლებზეც მიღებულია შესაბამისი გადაწყვეტილებები და შემუშავებულია დასკვნები. დეტალურად აქვს განხილული, როგორც ინდივიდუალური, ასევე, ნორმატიული ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტების პროექტების სამართლებრივი მხარე, მათი შესაბამისობა მოქმედი კანონმდებლობის ნორმებთან. კომისიის მიერ მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა მიღებული სამართლებრივი აქტების შესრულების მიმდინარეობასა და კონტროლს. კომისიის მიერ, საკრებულოს ბიუროსა და საკრებულოს სხდომებზე განსახილველად წარდგენილ იქნა მნიშვნელოვანი საკითხები, მათ შორის ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრისა და დამტკიცების შესახებ; საკრებულოს კომისიების შემადგენლობების ცნობად მიღების შესახებ საკრებულოს შესაბამის განკარგულებებში ცვლილებების შეტანის თაობაზე; საკრებულოს ფრაქციებში ცვლილებების შეტანის შესახებ და სხვ.

2023 წლის 20 მარტს, კომისიამ დაამტკიცა იურიდიულ საკითხთა კომისიის 2023 წლის თანმიმდევრული, გამჭვირვალე და მოქნილი საქმიანობის გეგმა, რომლითაც განისაზღვრა კომისიის საზედამხედველო ფუნქციის ფარგლებში მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურების, მერიის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისა და შეზღუდული პასუხისმგებლოების საზოგადოებების ანგარიშების მოსმენა.

საანგარიშო პერიოდში ჩატარებული ყველა სხდომა იყო საჯარო და თითქმის ყველა მათგანზე მოწვეული იყო აღმასრულებელი ორგანოს შესაბამისი წარმომადგენლები. კომისიის სხდომების შესახებ ანონსი კანონით დადგენილი წესით საჯაროდ ქვეყნდებოდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდსა და სოციალურ ქსელში, ხოლო ჩატარებული სხდომების ოქმები კანონის მოთხოვნათა დაცვით გამოქვეყნებულია მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე საჯარო ინფორმაციის ველში.

საერთაშორისო, ცენტრალური და ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების რეკომენდაციების გათვალისწინებით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ინიციატივით, კომისიამ მონაწილეობა მიიღო „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტის შემუშავებასა და განხილვაში, რომლის ძირითადი მიზანიცაა საკრებულოს წევრისათვის ქცევის მაღალი ეთიკური სტანდარტების განსაზღვრა, ქალაქ ქუთაისის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიმართ საზოგადოების ნდობის ამაღლება, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ თავისი მოვალეობების ღირსეულად, მიუკერძოებლად და კეთილსინდისიერად შესრულება, საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულების ამაღლება, საკრებულოს წევრის რეპუტაციის, პატივისა და ღირსების დაცვა.

კომისია აქტიურად იყო ჩართული ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ფორმირების პროცესში. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის მიერ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით მიღებულ იქნა რეკომენდაციები:

1. დადგენილების პროექტის დანართებში ცალკე კოდით გენდერული მიმართულებით გასატარებელ ღონისძიებათა პროგრამული დაფინანსების საკითხის ასახვის შესახებ (საქართველოს კანონის „გენდერული თანასწორობის შესახებ“ მე-13 მუხლი);

2. ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების, ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნის, ინოვაციური განვითარების მხარდაჭერის პროგრამული დაფინანსების საკითხების გამოკვეთის შესახებ (საქართველოს კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე -16 მუხლის მე-4 პუნქტი);

3. საქართველოს კანონით „ბავშვის უფლებათა კოდექსი“ მუნიციპალიტეტის ორგანოებისათვის მინიჭებული უფლებამოსილებით განსაზღვრული მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, შესაბამისი პროგრამული დაფინანსებით, ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის ღონისძიებათა წრის გაზრდის შესახებ (საქართველოს კანონის „ბავშვის უფლებათა კოდექსის “ 96-ე მუხლი);

4. მუნიციპალიტეტების დონეზე ახალგაზრდების იდეებისა და ინიციატივების მხარდაჭერისა და თანადაფინანსებისათვის სისტემური სახის მიცემის თაობაზე. აღნიშნული მიზნით, ახალგაზრდული ორგანიზაციებისა და საინიციატივო ჯგუფების სახელმწიფო მხარდაჭერაზე ხელმისაწვდომობის გაზრდისათვის მუნიციპალურ დონეზე საგრანტო ან/და სხვა პროგრამების გაზრდის შესახებ (საქართველოს პარლამენტის დადგენილება „2020–2030 წლებისთვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფციის“ დამტკიცების შესახებ).

საანგარიშო პერიოდში იურიდიულ საკითხთა კომისიამ მოისმინა:

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანების ანგარიში არსებული და მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ;

2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობის ანგარიში;

3. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული განყოფილების საქმიანობის ანგარიში;

4. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის საქმიანობის ანგარიში;

5. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების და ტრანსპორტის განყოფილების საქმიანობის ანგარიში;

6. ა(ა)იპ „იმერეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციის“ საქმიანობის ანგარიში.

კომისიის მიერ ზემოაღნიშნული საკითხების ფარგლებში შემუშავებული და ადრესატთან გაგზავნილი იქნა შემდეგი რეკომენდაციები:

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიამ უნდა შეიმუშავოს ინსტრუქცია/მეთოდოლოგია, როგორ მოხდება აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების კონტროლი;

2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის შიდა აუდიტის სამსახურის ანგარიშვალდებულება უნდა გაიზარდოს საკრებულოს წინაშე, დეპუტატის მიერ გაგზავნილი სადეპუტატო კითხვის ფარგლებში აუდიტმა ამომწურავი პასუხი და შესაბამისი დასკვნა უნდა მიაწოდოს შეკითხვების ავტორს აუდიტორული შემოწმების შედეგების შესახებ. საკრებულოს მხრიდან მოთხოვნის შემთხვევაში აუდიტორული დასკვნები უნდა გახდეს ხელმისაწვდომი და საჯარო;

3. თავის მხრივ, მეტი გამჭვირვალობისათვის მნიშვნელოვანია, შიდა აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელი საკრებულოს მიერ იქნას არჩეული, ვინაიდან მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელები იკავებენ პროფესიული ნიშნით განსაზღვრულ თანამდებობებს, რომელიც მნიშვნელოვანია ითვალისწინებდეს პირის დაკავებულ თანამდებობასთან პროფესიულ თავსებადობას, მისი გამოცდილებისა და უნარ-ჩვევების შეფასების შესაძლებლობით. მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობის შიდა აუდიტის განმახორციელებელი

სუბიექტის ხელმძღვანელი უნდა დაექვემდებაროს თანამდებობაზე დანიშვნის არჩევითი პრინციპის სტრუქტურას;

4. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის მეორადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული განყოფილების მიერ საკითხზე მომზადებული დასკვნა და მერიის შესაბამისი სამსახურის მიერ საკითხზე მიღებული გადაწყვეტილება უნდა იყოს შესაბამისობაში, ურთიერთწინააღმდეგობაში არ უნდა მოდიოდეს ერთმანეთთან;

5. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურისა თუ კომისიის მიერ, მათ შორის აღიარების კომისიის მიერ პრაქტიკაში უნდა იქნას გამოყენებული სასამართლო პრეცედენტები და უზენაესი სასამართლოს პრაქტიკები, რომელიც კონტინენტური ევროპის სამართლებრივი ოჯახის ქვეყნებშიც შესასრულებლად სავალდებულოდ ითვლება. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია წარმოებული დავების მოკვლევა და ერთი და იმავე საკითხზე დავების დიდი ოდენობით არსებობის შემთხვევაში, უნდა მოიძებნოს გამოსავალი მოქალაქეთა პრობლემების მარტივად გადასაჭრელად, მათ შორის ასეთი გამოსავალი შეიძლება იყოს სასამართლო პრაქტიკების მოხმობა და მათით ხელმძღვანელობა გადაწყვეტილების მიღების დროს;

6. ყველა რგოლის თანამშრომლები უნდა გადიოდნენ მუდმივად კვალიფიკაციის ამაღლების კურსებს, უწყვეტი განათლების პრინციპის შესაბამისად ეს აუცილებელია ცოდნის განახლებისათვის, გამოცდილებისა და პრობლემების გაზიარებისათვის. სასურველია მოძიებულ იქნას შესაბამისი პროექტები, რომლებიც აფინანსებენ მსგავს აქტივობებს;

7. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვის და სამშენებლო ნებართვების სამსახურში შემოსული საპროექტო განაცხადის ირგვლივ სამსახურის მიერ გაცემული შენიშვნები, მითითებები, ხარვეზები სასურველია იქნას ერთიანად შემუშავებული და მიწოდებული განმცხადებლისათვის. განმცხადებელს ხარვეზების გამოსასწორებლად უნდა განესაზღვროს კონკრეტული ვადა, რომელიც დასაბუთებული და წინასწარ განსაზღვრული საფუძვლების არსებობის შემთხვევაში შეიძლება გადაგრძელდეს არაუმეტეს კონკრეტული ვადით. განმცხადებლის მიერ დაზუსტებული განცხადების სამსახურში წარმოდგენის შემდეგ, სამსახურმა კონკრეტულ ვადაში უნდა მიიღოს დასაბუთებული პასუხი დაკმაყოფილების შესახებ, შესაძლებელია სამსახურს განსაზღვრული ჰქონდეს მაგალითად 10 დღიანი ვადა, თუმცა თუკი სამსახურის პასუხი 10 დღემდე ვადაში იქნება მომზადებული, ვადის ამოწურვამდე მიაწოდოს იგი განმცხადებელს მოქალაქეზე მორგებული ეფექტიანი და ეფექტური სერვისის

შეთავაზების მიზნით. საპროექტო განაცხადის მიღების, ხარვეზის დადგენის, გამოსწორებისა და საბოლოო გადაწყვეტილების მიღების პროცესი უნდა იყოს დროული, რათა დროში გახანგრძლივებული პროცესების გამო განმცხადებელმა ინტერესი არ დაკარგოს, როგორც თავისი საკითხის, ასევე, არ დაკარგოს ნდობა ინსტიტუციის მიმართ. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია სამსახურს ჰყავდეს გადამზადებული კვალიფიციური კადრი (კონსულტანტი), რომელიც დაინტერესებულ პირს/განმცხადებელს მიაწვდის სრულყოფილ ინფორმაციას წარსადგენი დოკუმენტაციების, ადმინისტრაციული წარმოების შესახებ;

8. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიამ მუნიციპალური ტრანსპორტის მართვის სისტემის გაუმჯობესებისა და მოსახლეობისთვის მაღალი ხარისხის მომსახურების მიწოდების მიზნით, უნდა გამოიყენოს მიმწოდებელთან გაფორმებული ხელშეკრულებით მინიჭებული უფლებამოსილებები, მუდმივი მონიტორინგი აწარმოოს იმის შესახებ თუ რამდენად ასრულებს ხელშეკრულების მეორე მხარე ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს, ხოლო დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში იმოქმედოს ხელშეკრულების მიხედვით და მოახდინოს სათანადო რეაგირება. მაგალითად, გაკონტროლდეს სამგზავრო ბარათების მარაგების არსებობა სათანადო ობიექტებსა და სივრცეებში, საჭიროებისამებრ გაიზარდოს იმ ობიექტთა ოდენობა, სადაც სამგზავრო ბარათების შეძენა იქნება შესაძლებელი; შეამოწმოს რამდენად მოწესრიგებულია ბარათზე სამგზავრო თანხის ჩასარიცხი აპარატი შესაბამისი მიზნისათვის გამოსაყენებლად და ა.შ. მგზავრთა ნაწილს არ აქვს ინფორმაცია სამგზავრო ბარათის შეძენისა და მასზე თანხის ჩარიცხვის პროცედურის შესახებ, ხელშეკრულების მხარეებმა (მუნიციპალიტეტის მერიამ ან/და დაკონტრაქტებულმა იურიდიულმა პირმა) აღნიშნულ პროცედურას რეკლამირება უნდა გაუკეთონ, რათა მგზავრი სრულად ინფორმირებული იყოს;

9. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიამ უზრუნველყოს ქალაქ ქუთაისსა და ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტს შორის მგზავრთა გადაყვანის მიზნით რეგულარული ტრანსპორტის დანიშვნა;

10. ქალაქ ქუთაისში მდებარე ე.წ. „ებრაელების სასაფლაოს“ ტერიტორიის მოწესრიგება;

11. უნდა მოწესრიგდეს ქალაქ ქუთაისსა და ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტს შორის არსებული ტერიტორიის - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის, სოფელ ქვიტირის გზაზე გაუნათებელი და მოუწესრიგებელი საგზაო ინფრასტრუქტურა, უნდა მოხდეს ავტო ნაწილებისა და დაშლილების ბაზრობის სხვა ტერიტორიაზე გადატანა, საგზაო მონაკვეთი საჭიროებს ბორდიულებისა და გვერდულების მოწესრიგებას;

12. რეაბილიტაცია უნდა ჩაუტარდეს ზაქარია ფალიაშვილის მემორიალურ სახლ-მუზეუმს, რადგანაც იგი წარმოადგენს მნიშვნელოვან პროექტს ქალაქის კულტურული ცხოვრებისათვის, ასევე აღსანიშნავია, რომ აღნიშნული მუზეუმი მდებარეობს ქალაქის ცენტრალურ, ისტორიულ უბანში, სადაც უამრავი ადგილობრივი თუ ტურისტი გადაადგილდება;

13. ქალაქ ქუთაისში, დღემდე არსებობს ბევრი ისტორიული არტეფაქტი, ისტორიული მნიშვნელობის ძეგლი, რომელიც არ არის იდენტიფიცირებული და სრულად შესწავლილი. ერთ-ერთ ასეთ ლოკაციას წარმოადგენს ჭომის უბანში, კონკრეტულად რუას ქუჩაზე არსებული ისტორიული აბაზანების ნაშთები და მე-19 საუკუნის ხიდი, რომელიც დაშენებულია უფრო ძველი ხიდის ბაზაზე. აღნიშნული ლოკაციის მოწყობა იქნება სრულიად ახალი ტურისტული სანახაობა ქალაქის უძველეს უბანში, რომელიც ხელს შეუწყობს ადგილობრივი მაცხოვრებლებისათვის ახალი ბიზნესის განვითარებასა და სტიმულირებას, ასევე, შესაძლებელია მოეწყოს მცირე ტიპის კომერციული ობიექტები, რაც დამატებითი ეკონომიკური შემოსავლების წყარო შეიძლება გახდეს ადგილობრივი ბიზნესისათვის. დღეის მდგომარეობით, რუას ხეობას არ გააჩნია არანაირი ტურისტული დანიშნულება და ამ ფაქტის შესახებ უცნობია ადგილობრივი მაცხოვრებლებისთვისაც კი;

14. უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე ქუთაისი გახდა ერთ-ერთი ტურისტულად მიმზიდველი ქალაქი, რასაც ხელს უწყობს ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტის განვითარება. მგზავრთა ნაკადის ზრდასთან ერთად აუცლებელი გახდა ქალაქმა ხელი შეუწყოს და დააკმაყოფილოს სხვადასხვა ტიპის ინფრასტრუქტურული მოთხოვნა თუ საჭიროება, როგორიცაა მაგალითად, მოწესრიგებული და თანამედროვე საპირფარეშოების არსებობა ქალაქის ტერიტორიაზე. აღნიშნული ტიპის საპირფარეშოები გარდა ვიზუალური ნაწილისა, ასევე მარტივია საოპერაციო და მოვლა-პატრონობის მიმართულებითაც, რადგანაც გააჩნია, როგორც თვითწმენდის რეჟიმი, ასევე დამზადების მასალიდან გამომდინარე შესაძლებელია მისი გარეცხვა ე.წ. დაკერხერების მეთოდითაც. აღნიშნული ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელება გაზრდის ტურისტებისა და ადგილობრივების კომფორტულობის დონეს ქალაქში;

15. რამოდენიმე ქვეყანაში ფეხს იკიდებს „საქალაქთაშორისო პორტალი", რომელიც საშუალებას იძლევა live რეჟიმში უყურო სხვა ქალაქის ქუჩებს და გამვლელებს, მიესალმო და გაესაუბრო ადამიანებს მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში. ინიციატივის ფარგლებში იგეგმება ქუთაისის ტურისტულ ლოკაციებსა და ძირითად ღირსშესანიშნაობებთან განთავსდეს მსგავსი ტიპის მონიტორები და კამერები, ასევე დამეგობრებულ, პარტნიორ და ტურისტულად საინტერესო ქალაქებთან

მოლაპარაკებების შედეგად განთავსდეს ანალოგიური ეკრანები და მოხდეს ვიდეო მიმოცვლა. აღნიშული პროექტი გაზრდის ქალაქის პოპულარობას და შექმნის „ემოციურ დამოკიდებულებას“ ქუთაისის მიმართ, რამეთუ მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში (პორტალის განთავსების შესაბამისად) უცხოელებს ექნებათ შესაძლებლობა გაეცნონ ქალაქის ყოველდღიუობას, რაც გაზრდის ინტერესს ქუთაისის მონახულებასთან დაკავშირებით;

16. მოსწავლე - ახალგაზრდობის პარკი წარმოადგენს ქალაქის ყველაზე დიდ სკვერს, რომლის საერთო ფართი 8 ჰექტარს აღემატება და მდებარეობს ერთ-ერთი ცენტრალური გამზირის (ჭავჭავაძის გამზირის) მიმდებარედ. დღეის მდგომარეობით პარკი წარმოადგენს ქალაქის სარეკრეაციო სივრცის უმნიშვნელოვანეს ნაწილს, რადგანაც აღნიშნულ ლოკაციაზე მოქალაქეთა დიდი ნაწილი იკრიბება. პარკი ძირითადად იზიდავს ჯანსაღი ცხოვრების მოყვარულ, სკეიტბორდის მოყვარულ და ბუნებაში სეირნობის მოყვარულებს. პარკში ხშირად იმართებოდა სხვადასხვა ტიპის კონცერტი, რამეთუ მოწყობილი იყო ამფითეატრი, ასევე მსოფლიო დონის სხვადასხვა სპორტული ღონისძიების ღია ტიპის ჩვენებები. აღნიშნული სკვერის რეაბილიტაცია უზრუნველყოფს საზოგადოებისათვის განახლებული და კომფორტული გარემოს შექმნას. პარკის სივრცე და არეალი იძლევა საშუალებას მოეწყოს, როგორც ღია ტიპის ამფითეატრი, სკეიტ და ველო პარკი, ჯანსაღი ცხოვრების მოყვარულთათვის სარბენი ტრეკი, ღია ტიპის კომერციული ობიექტები, სხვადასხვა ტიპის ატრაქციონი და განტვირთვისათვის საჭირო სხვა ტიპის ატრაქციები. მოსწავლე ახალგაზრდობის პარკის რეაბილიტაცია წარმოადგენს მნიშვნელოვან პროექტს ქუთაისის მაცხოვრებლებისათვის, რომელიც მიზნად ისახავს ჯანსაღი ცხოვრების ხელშეწყობას;

17. ქუთაისის ისტორიული წითელი ხიდი და მის ახლოს მდებარე მაგნოლიას ხე წარმოადგენს ქალაქის ერთ-ერთ სიმბოლოს და სავიზიტო ბარათს. აყვავებული მაგნოლიის ფოტოები ყოველ გაზაფხულზე აქტიურად ვრცელდება სოციალურ ქსელებში. ერთობლიობაში წითელი ხიდი თავისი ისტორიული მნიშვნელობით და მაგნოლია, ჰქმნის საინტერესო ტურისტულ ლოკაციას. წითელ ხიდზე ტრანსპორტის მოძრაობა არ არის, თუმცა ფეხით მოსიარულეთათვის ხიდის სავალი ნაწილი საკმაოდ ცუდ მდგომარეობაშია. აქედან გამომდინარე, აუცილებელია წითელი ხიდის რეაბილიტაცია/მოპირკეთება. პროექტის განხორციელებისთვის აუცილებელია ხიდის სავალი ნაწილის მოპირკეთება/რეაბილიტაცია, მოაჯირების დამუშავება და შეღებვა, ასევე უხარისხო განათების შეცვლა. სასურველია თუ ხიდი შეიძენს მხოლოდ საფეხმავლო დანიშნულებას.

როგორც იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, აქტიურად ვარ ჩართული USAID-ის „ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამის“

განხორციელებაში, მიწვეული ვიყავი და დავესწარი 11 ივლისს ქალაქ თბილისში საკრებულოების საზედამხედველო შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით დაგეგმილი პროექტის ინაუგურაციას, სადაც ვისაუბრეთ საკრებულოსა და კომისიების წინაშე არსებულ გამოწვევებსა და სამომავლო თანამშრომლობაზე, გავეცანი „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ მიერ მომზადებულ კვლევას საზედამხედველო ფუნქციებისა და მოქალაქეთა ჩართულობის არსებული ინსტრუმენტების გამოყენებასთან დაკავშირებით. ასევე, მონაწილეობა მივიღე პროგრამის ფარგლებში ორგანიზაცია "ეგერია სოლუშენსი"-ს მიერ წარმოებულ კვლევაში „ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საზედამხედველო საქმიანობის შესახებ“. ჩართული ვარ პროექტში „საჯარო ფინანსების მართვის (PFM) შეფასება სახელმწიფო ხარჯებისა და ფინანსური ანგარიშვალდებულების (PEFA) შეფასების მეთოდოლოგიის საფუძველზე, რომელსაც ახორციელებს საკონსულტაციო კომპანია „პოლიტიკის და მართვის კონსალტინგ ჯგუფი“ (PMCG). კომისიის ჩართულობა მნიშვნელოვანია და შესაბამისად მე, როგორც კომისიის თავმჯდომარე აქტიური მონაწილეობის მზადყოფნას გამოვთქვამ „ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამის“ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ არაერთ პროექტსა თუ ღონისძიებაში.

იურიდიულ საკითხთა კომისია მომავალშიც აქტიურად განაგრძობს საქმიანობას სამართლებრივი მიმართულებით, რაც მაქსიმალურად უზრუნველყოფს საკრებულოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში სამართლებრივი ხასიათის ხარვეზების გამორიცხვას და მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მიღებული აქტების მაღალკვალიფიციურ დონეზე გამოცემას.

მე, როგორც საკრებულოს წევრი, ასევე, ჩართული ვარ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის საქმიანობაში, რომელმაც საანგარიშო პერიოდში გამართა 11 სხდომა და განიხილა 11 საკითხი.

ჩემი, როგორც საკრებულოს წევრის და ამასთანავე იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის საქმინობის ძირითადი პრიორიტეტებია: თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა აქტიური ჩართვის უზრუნველყოფა. საზოგადოებისათვის ძირითადი პრობლემატური, აქტუალური, სამართლებრივი საკითხების შესწავლისას, წინადადებებისა და პროექტების შემუშავება და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემდგომი რეაგირებისათვის საკითხის დაყენება.

სწორედ ამ პრიორიტეტების გათვალისწინებით, საკრებულოს წევრის საზედამხედველო ინსტრუმენტების ფარგლებში, არაერთხელ მივმართე

აღმასრულებელ ორგანოს წერილობითი შეკითხვით. წერილობითი შეკითხვები მიმართული იყო რამდენიმე სამსახურის მიმართ და ეხებოდა:

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული ადმინისტრაციული სამსახური იურიდიული განყოფილება:

- რა ტიპის სარჩელებია ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიისა და მისი მონაწილეობით დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების წინააღმდეგ?
- როგორია სამართალწარმოების ვადები, არის თუ არა დავები რომელთა განხილვა ერთ წელზე მეტი პერიოდია მიმდინარეობს?
- როგორია მერიის მოგებული და წაგებული დავების სტატისტიკა?
- რამდენად შეეხო მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულება?

2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახური:

- როდის და რა ტიპის კვლევები განხორციელდა სვლა-გეზების დასაგეგმად, არსებული საჭიროებების გადასამოწმებლად?
- ტარდება თუ არა რაიმე ტიპის საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვები მოსახლეობაში ტრანსპორტთან დაკავშირებული პრობლემების გამოსავლენად?

3. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული კულტურის სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური:

- რა ეტაპზეა კოლია ქვარიანის გადმოსვენების საკითხი რომელიც 2006 წლიდან წარმოებაშია, არსებობს თუ არა რაიმე ხელისშემშლელი ფაქტორები? როგორია უახლოესი მომავლის გეგმები ამ საკითხთან დაკავშირებით ?

4. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული სოციალურ საკითხთა სამსახური:

- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოციალური საცხოვრისით უზრუნველყოფის მდგომარეობა როგორია - რამდენია მოთხოვნა და რამდენია დაკმაყოფილებული?
- რა კონკრეტული პროექტები ხორციელდება ახალი სოციალური საცხოვრისების შექმნისათვის ?

5. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული შიდა აუდიტის სამსახური:

- რა მექანიზმებით და რა პერიოდულობით ხორციელდება, მუნიციპალიტეტის მიერ შესყიდული მომსახურეობებისა და პროდუქტების ხარისხის, მონიტორინგი?

6. რა მდგომარეობაა მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში, ბავშვის უფლებათა კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნების იმპლემენტაციის კუთხით ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ?

7. როგორ ხდება „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ" კანონის 35-ე მუხლით დადგენილი მოთხოვნების აღსრულება ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე?

გარდა ამისა, როგორც საკრებულოს წევრმა, საინიციატივო წინადადებით მივმართე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საქართველოს კანონით „თავისუფლების ქარტიით" აკრძალული - კომუნისტური, ტოტალიტარული და ფაშისტური სიმბოლიკის, საკულტო ნაგებობების, ძეგლების, მონუმენტების, ბარელიეფების, წარწერების, ქუჩების, მოედნების სახელწოდებების ჯერ კიდევ არსებობის, მათი აღრიცხვა/მონიტორინგის შესახებ. ვინაიდან, ზემოთაღნიშნული პრობლემის აღმოსაფხვრელად საკმაოდ მოცულობითი და კომპლექსური საქმიანობის განხორციელებაა საჭირო, ინიციატივის არსი მდგომარეობს - შეიქმნას შესაბამისი მუნიციპალური კომისია, საბჭო ან სხვა სახის სათათბირო/საკონსულტაციო ჯგუფი, რომელიც დასახავს ღონისძიებებს კანონის მოთხოვნათა შესასრულებლად.

ასეთი სახით წარმოგიდგინეთ ანგარიში, დიდი მადლობა მობრძანებისთვის. ჩემი კომპეტენციის და საქმიანობის ფარგლებში მზად ვარ, ვუპასუხო თქვენს შეკითხვებს."

აზრი გამოთქვეს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

ქუთაისის მუნიციპალიტეტის ამომრჩეველი, გიორგი გოგიაშვილი: - „მოგესალმებით, მადლობა ანგარიშის წარმოდგენისათვის. თქვენ აღნიშნეთ, რომ ინიციატივით მიმართეთ მერს კომუნისტური სიმბოლოების გამოვლენისათვის. მაინტერესებს ქუთაისში მდებარე უსახელო ან კომუნიზმთან ასოცირებული სახელწოდების ქუჩების შესწავლა თუ მოხდება და ამ ქუჩების სახელების შეცვლა?"

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, თეა ჯუღელი: - „დიახ, ზუსტად ამას გულისხმობს ჩემი ინიციატივა, რომ ყველა მსგავსი შემთხვევა გამოვლინდეს და ქუჩებს მიენიჭოს სასახელო ქუთაისელებისა და ზოგადად ღვაწლმოსილი ქართველების სახელები, რომელიც არაერთია და ჯერ კიდევ არ აქვს მათი სახელები ქუთაისში ქუჩებს მინიჭებული. მაგალითად, ახლახან აღმოვაჩინეთ

რომ ქუთაისში ანა კალანდაძის ქუჩა არ არსებობს, რაც აუცილებლად უნდა გამოვასწოროთ.“

ქუთაისის მუნიციპალიტეტის ამომრჩეველი, მაია ირემაძე: - „გენდერული თანასწორობის მიმართულებით, როგორია თქვენი, როგორც საკრებულოს წევრის ჩართულობა საკრებულოს საქმიანობაში?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, თეა ჯუღელი: - „დიდი მადლობა ამ მნიშვნელოვანი შეკითხვისათვის. მე საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრიც ვარ და ჩართული ვარ მათ საქმიანობაში. მათ შორის, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემუშავების დროს გავეცით რეკომენდაცია, რომ გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისათვის 2023 წლის ბიუჯეტში ცალკე პროგრამული კოდი ასახულიყო, რაც გაითვალისწინეს და ეს მნიშვნელოვანი მიღწევაა, რაც მომავალში კიდევ მეტი წინსვლისა და განვითარების შესაძლებლობას გვაძლევს. ჩვენ შევეცდებით, რომ ამგვარი გენდერულად მგრძნობიარე საკითხების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოგაწოდოთ, ადგილზე შეხვედრებისა თუ ადმინისტრაციულ ერთეულებში შეხვედრების გზით.“

ამით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, ქალბატონი თეა ჯუღელის მიერ გაწეული მუშაობის თაობაზე ამომრჩევლებთან საანგარიშო შეხვედრა დასრულდა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი,

იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

თეა ჯუღელი

ოქმი შეადგინა

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

იურიდიულ საკითხთა კომისიაში მოწვეულმა სპეციალისტმა

მარიამ ამბროლაძემ